


ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
Europian University
Institute of Law

# ანგარიში
# 2023
# REPORT

ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
EUROPEAN UNIVERSITY
INSTITUTE OF LAW

Law.org.ge

დირექტორი: იოსებ კელენჯერიძე
Director: Ioseb Kelenjeridze

2023 ანგარიში

# ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“

2023 წელს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალმა „სამართალი და მსოფლიო“ ოთხი გეგმიური ნომერი გამოსცა.

გამოცემებში (#25, 26, 27, 28) გამოქვეყნებული აკადემიური ნაშრომების ავტორები გახლავთ სამართლის დარგში აღიარებული როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორები ინდოეთიდან, ალჟირიდან, რუსეთიდან, საუდის არაბეთიდან. აღნიშნული ჟურნალი აქვეყნებს მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე სტატიებს, რომლებიც ეხება სამართლის სფეროში არსებულ აქტუალურ, პრობლემურ და საინტერესო საკითხებს. ჟურნალის ოფიციალურ საიტს აქვს მაღალი რეიტინგული ნახვების რაოდენობა, საიტზე შემოსვლების დიდი წილი მოდის უცხოეთზე, რაც გამომდინარეობს ღია წვდომის პოლიტიკიდან. ჟურნალი მსოფლიო მასშტაბით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს ნაშრომებზე უფასო, მყისიერ და მუდმივ წვდომას.



INTERNATIONAL
Scientific Indexing
Fresh Ideas for Growing your Citations

**Certificate**

This is to certify that **Law and World** is indexed in International Scientific Indexing (ISI). The Journal has Impact Factor Value of **2.155** based on International Citation Report (ICR) for the year **2022-2023** .
The URL for journal on our server is
https://isindexing.com/isi/journaldetails.php?id=8183

Editor ICR Team (ISI) | International Scientific Indexing (ISI)

# JOURNAL „LAW AND WORLD“

In 2023, the European University Scientific Research Institute of Law published four scheduled “Law and World” issues.

Scientific publications of Georgian and foreign recognized authors in the field of law were published in the issues (#25, #26, #27, #28). This journal publishes articles of high scientific value that deal with current, problematic, and interesting issues in the field of law. The journal’s official website has a high ranking of views, the majority of visitors are from abroad because of its open access policy. The journal offers free, instant and permanent access to the papers to any interested person worldwide.

2023 REPORT

# IMPACT FACTOR

2023 წელს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ საგრძნობლად გაუმჯობესებული შედეგით იქნა შეფასებული (Impact Factor), რაც უმნიშვნელოვანესია ჟურნალის საერთაშორისო ხილვადობისა და განვითარებისთვის.

## წლების მიხედვით, ISI (International Scientific Indexing)-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში:

## ISI Indexed Journal

### Citation Values

| | | | |
|---|---|---|---|
| INTERNATIONAL Scientific Indexing<br>1.057<br>(2017-2018) | INTERNATIONAL Scientific Indexing<br>1.369<br>(2018-2019) | INTERNATIONAL Scientific Indexing<br>1.439<br>(2019-2020) | INTERNATIONAL Scientific Indexing<br>1.552<br>(2020-2021) |
| INTERNATIONAL Scientific Indexing<br>1.787<br>(2021-2022) | INTERNATIONAL Scientific Indexing<br>2.155<br>(2022-2023) | INTERNATIONAL Scientific Indexing<br>2.565<br>(2023-2024) | |

ISI INTERNATIONAL Scientific Indexing

### Impact Factor

In 2023, the international scientific journal “Law and World” was evaluated with a significantly improved result (Impact Factor), which is very important for the international visibility and development of the journal.

# მონოგრაფიების გამოცემა

2023 წელს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტმა გამოსცა ორი მონოგრაფია, გამართა წიგნების პრეზენტაცია. ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა მიხეილ ბიჭიამ და თამარ მსხვილიძემ ფუნდამენტური კვლევების ფარგლებში ახალი მონოგრაფიები წარუდგინეს სამეცნიერო საზოგადოებას.




# PUBLICATION OF MONOGRAPHS

In 2023, the European University Scientific Research Institute of Law published two monographs, organized a book presentation. Senior researcher of the Institute Mikheil Bichia and Tamar Mskhvilidze presented new monographs to the scientific community within the framework of fundamental research.

# ინსტიტუტის პროექტი "ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“ რუსთაველის ფონდის გამარჯვებული გახდა

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის პროექტმა – „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“, რუსთაველის ფონდის 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი მოიპოვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისთვის ხელისშემშლელი საკითხების გამოკვეთა, შესწავლა და წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდაციების მომზადება.

კვლევას აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტი. ჩატარებული კვლევის შედეგად ქართულ ენაზე მომზადდება დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნდება როგორც ელექტრონული, აგრეთვე ბეჭდური სახით.

# THE PROJECT OF THE LAW INSTITUTE – “GEORGIAN COMPETITION LAW AND POLICY IN THE ERA OF DIGITAL ECONOMY” BECAME THE WINNER OF THE RUSTAVELI FOUNDATION

Project of the European University Scientific Research Institute of Law – “Georgian Competition Law and Policy in the Era of Digital Economy“ – won the Rustaveli Foundation State Scientific Grant of 2022 Fundamental Researches.

The research aims to outline the issues hindering the effective enforcement of competition law and policy practices and analyze and prepare recommendations to solve these problems.

Research has an important scientific and educational component. As a result of the research conducted, a document will be prepared in Georgian and published digitally and in printed form.

# მასტერკლასი

2023 წლის 12, 13 და 14 მაისს, სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით მასტერკლასების სერია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სამართლის პროგრამის სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

მოწვეული უცხოელი ტრენერები იყვნენ: მოსამართლე მარკ სპეისერი (ფლორიდა, აშშ) და ადვოკატი რობერტ ტრეჩმანი, (ფლორიდა, აშშ). მასტერკლასების სერიის ფარგლებში განიხილეს შემდეგი თემები:

- ჩხრეკის თავისებურებები;
- ბრალდებულის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების კანონიერად დასაშვებობა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს;
- სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციურ უფლებაზე – შეკრების თავისუფლებაზე;
- სიკვდილით დასჯა აშშ-ში.

აღნიშნულ თემებზე სტუმრებმა ამერიკული გამოცდილება გაუზიარეს ქართველ სტუდენტებს.





# THE MASTERCLASS

On May 12, 13 and 14, organized by the Institute of Law, a series of masterclasses were held. Law program students from different Georgian universities and other interested persons attended the event.

Invited foreign trainers were Judge Mark Speiser (Florida, USA) and lawyer Robert Trachman (Florida, USA). Within the framework of the event, the following topics were discussed:

- Search peculiarities;
- Legal admissibility of confessions given by the accused person during criminal prosecution;
- Restricting freedom of speech on the constitutional right – on freedom of assembly;
- The death sentence in the United States.

The guests shared American experiences with Georgian students on the mentioned topics.

# პანელური დისკუსია:
## „ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში“

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტისა და ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: „ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში“.

შეხვედრაზე განხილულ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები. მონაწილეებმა იმსჯელეს იმ რისკებზე, რომლებიც, აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მოქმედ ბიზნესს შეიძლება დაემუქროს.





# PANEL DISCUSSION:
## “LEGAL REGULATIONS OF BUSINESS IN GEORGIA”

A panel discussion on “Legal Regulations of Business in Georgia” was organized by the European University Scientific Research Institute of Law and the European University Research Institute of Economic and Social Problems of Globalization.

At the meeting, important amendments to the Law of Georgia “On Entrepreneurs” were discussed. The attendees discussed the risks those changes may bring to the current business.



# საერთაშორისო კონფერენცია – "საქართველოს ევროკავშირის გაწევრიანების პერსპექტივები"

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" საერთაშორისო კონფერენცია – „საქართველოს ევროკავშირის გაწევრიანების პერსპექტივები" გაიმართა. სტუმრებს შორის იყვნენ პროფესორები, მკვლევრები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, აღნიშნულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორი, უცხოელი ექსპერტები.

კონფერენციაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების, სამომავლო პერსპექტივებისა და თანამშრომლობის შესახებ აკადემიური დისკუსია გაიმართა. მოხსენებით წარდგნენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი ექსპერტები.



# NTERNATIONAL CONFERENCE “PROSPECTS OF GEORGIA’S ACCESSION TO THE EUROPEAN UNION”



An international conference – “Prospects of Georgia’s accession to the European Union” – was held at the Tbilisi Marriott Hotel and organized by the European University Scientific Research Institute of Law. Among the guests were professors, researchers, representatives of the Georgian government, members of the Parliament, non-governmental sector working on the mentioned topic, and foreign experts.



At the conference academic discussion was held on relations, future perspectives and co-operation between Georgia and the European Union. Foreign and Georgian experts delivered speeches.



ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტი
Europian University
Institute of Law

(+995 32) 2 000 171 (120)

info@law.org.ge

თბილისი. გურამიშვილის გამზ. N76